უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 01.09.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:
ირაკლი შარაბიძე - რექტორი;
აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე;
ლევან ჯაყელი- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
რომან მუმლაძე - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი;
ირაკლი დოლიძე - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.

2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი:
ანზორ დიასამიძე - რექტორი;
გურამ ქათამაძე - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ქეთევან კოტეტიშვილი;
ნინო გორგოშაძე;
დავით ტეფნაძე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
ფრიდონ გოგიაშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
ქრისტინე რზგოევა.

სხვა დამსწრე პირები:
შორენა ხუბუნაია- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
მანანა მახარაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი;
ელენე დოხნაძე - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წარმომადგენელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ვინაიდან საბჭო განიხილავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების და პროფესიული პროგრამების დამატების საკითხებსაც, ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ორი პირი - შორენა ხუბუნაია და მანანა მახარაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა;

3. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდა თუ არა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ზოგადი მიმოხილვა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნეს ადგილობრივმა ექსპერტებმა:

- სასწავლო უნივერსიტეტის მისია თანმიმდევრული უნდა იყოს მის ზომასთან, შეთავაზებულ პროგრამებთან და მუშაობის რეალურ შესაძლებლობებთან;
- ყველა შიდა დაინტერესებული პირი ინფორმირებული უნდა იყოს სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე;
- აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები უნდა დაიყოს ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურად, რომელიც გააუმჯობესებს აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობას;
- უნდა შემუშავდეს ყოვლისმომცველი დოკუმენტი რისკების მართვაზე, რომელიც გახდება რისკის მართვის ეფექტური სისტემის დამკვიდრების საფუძველი;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღება დაუთმოს კვლევითი კომპონენტის შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს;
- პროგრამების შემუშავებაში უნდა ჩაერთოს მეტი სტუდენტი და გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი ინტერესი ინგლისური ენის სწავლებასთან მიმართებით;
- უნდა შემუშავდეს და დამკვიდრდეს ისეთი პროცედურა საზღვაო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტისთვის, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელი უნარებისა და კომპეტენციები განვითარებას;
- უნდა გაძლიერდეს მუშაობა ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავების, ან თუნდაც ცალკეული საგნების, მაგალითად, არჩევითი კურსების ინგლისურად წაკითხვის მიმართულებით;
- უნდა შემუშავდეს სპეციალური რეგულაცია მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის;

- უნდა დაინერგოს პერსონალის საქმიანობის შეფასებაზე რეაგირებისა და ანალიზის სისტემა. ასევე ამ მიმართულებით დასანერგია მმართველობით თანამდებობაზე მყოფ პირებთან ანგარიშგების პროცედურებიც;
- პერსონალის მომზადებისა და ტრენინგების დაგეგმვისას გამოყენებულ უნდა იქნეს შედარებით სისტემური მიდგომები;
- პროგრამის ხელმძღვანელებისთვის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისთვის, სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური წესები;
- გადახედეთ და შეასწორეთ წესი - "აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების სამუშაო დატვირთვისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ". ასევე საჭიროა განისაზღვროს ერთ ჯგუფში სტუდენტების ზუსტი რაოდენობა, რაც წარმოადგენს სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს;
- გადახედეთ და შეასწორეთ წესი "აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ" და განსაზღვრეთ უფრო კონკრეტული და ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად, სხვადასხვა ტიპის თანაფარდობაზე დამყარებით;
- შეიმუშავეთ და განახორციელეთ აკადემიური პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების სისტემა, განსაკუთრებით სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით;
- შეიმუშავეთ და განახორციელეთ ახალგაზრდა თაობის მოზიდვის პოლიტიკა, როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით პროცესებში;
- მოამზადეთ კითხვარი, რომელიც გამოიყენება კვლევაში, რათა მიიღოთ უფრო ზუსტი სურათი კურსდამთავრებულთა დასაქმების თანაფარდობების შესახებ. ამ დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს მუდმივი კონტაქტი თავის კურსდამთავრებულებთან და უკუკავშირის მოთხოვნა და მიღება მათგან უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი;
- უნდა შემუშავდეს სასწავლო პროცესში მაგისტრანტების დახმარების სტრატეგია, რადგან ისინი მოქმედი მეზღვაურები არიან და საჭიროებენ ინდივიდუალური გეგმების შედგენას;
- შემუშავებულ უნდა იქნეს სტრატეგია, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩაერთოს კვლევით პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის ეფექტურობის გაზრდას და ასევე სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლებას;
- ბიბლიოთეკის პერსონალი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უნდა აწვდიდეს მეტ ინფორმაციას საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების და მათი გამოყენების წესების შესახებ. ასევე საჭიროა ამ მიმართულებით მოხდეს ბიბლიოთეკის პერსონალის გადამზადება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი პრიორიტიზირებული უნდა იყოს აკადემიური და კვლევითი საქმიანობისთვის, რადგან კვლევითი აქტივობები არის ერთ-ერთი საფუძველი აკადემიის შემდგომი განვითარებისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, მისიასთან მიმართებით დაწესებულება მიიჩნევდა, რომ იმ ფინანსური და მატერიალური რესურსებით, რომელიც ამ ეტაპზე დაწესებულებას გააჩნდა, მათ მიერ გაწერილი მისია იყო რეალური და განსაზღვრული მიზნების მიღწევას დაწესებულება აღნიშნული რესურსის გათვალისწინებით, აუცილებლად შეძლებდა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა რეკომენდაცია მისიასთან მიმართებით ეხებოდა მათ მიერ განსაზღვრულ მიზანს საქართველოს საზღვაო ეკონომიკის ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრაციის მხარდაჭერისა და საქართველოს წამყვან საზღვაო ქვეყნად ფორმირების შესახებ, რაც, ექსპერტთა მოსაზრებით, არ იყო მორგებული აკადემიის რესურსებისა და შესაძლებლობების მოცულობაზე და არ წარმოადგენდა რეალურ სამოქმედო შესაძლებლობას.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, საზღვაო აკადემია ახორციელებდა სასწავლო პროგრამებს არა მხოლოდ საზღვაო, არამედ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, ამასთან, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო ანაკლიის ნავსადგურისთვის სპეციალისტების მომზადების პროგრამა. ასევე აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ დაწესებულება ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და აღჭურვილობითა და ინფრასტრუქტურით ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთი მოწინავე საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულება ყოფილიყო რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს საზღვაო და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა, თუ როგორ შეძლებდა დაწესებულება ამბიციური მისიის განხორციელებას მაშინ, როდესაც ამჟამად არცერთი უცხოენოვანი პროგრამა არ ხორციელდებოდა. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ბოლო 1 წლის განმავლობაში დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის საზღვაო უნივერსიტეტებთან. ამ ეტაპზე მიღწეული შეთანხმების მიხედვით, 2019 წელს იგეგმებოდა პირველი ინგლისურენოვანი ერთობლივი პროგრამის განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების გეგმით. მაგალითად, დასკვნაში მითითებული იყო, რომ სენატში წარმოდგენილი იყო უმეტესად დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. აღნიშნული საკითხების განხილვას დაწესებულება გეგმავდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან, ასევე, მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და ამის შემდეგ უკვე განხორციელდებოდა ცვლილებები დაწესებულებაში, მათ შორის სენატთან მიმართებითაც.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა, თუ რომელი ორგანოს მიერ ხორციელდებოდა დაწესებულებაში კვალიფიკაციის მინიჭება, ფაკულტეტის საბჭოს თუ სენატის მიერ.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდებოდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

საბჭოს წევრის, თამარ იოსელიანის, განცხადებით საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ასევე ჩართული იყო დაწესებულების სტრუქტურის გამიჯვნის პროცესში. მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ საავტორიზაციო ვიზიტამდე დაწესებულებაში სააგენტოს დაფინანსებით უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარდა განმავითარებელი შეფასება. შესაბამისად, დასტურდებოდა, რომ სააგენტოს დახმარებით დაწესებულება აქტიურად მუშაობდა სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამებით, რომლებმაც 2011 წელს გაიარეს აკრედიტაცია და 2019 წელს უწევთ ხელახალი აკრედიტაციის გავლა. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამები საჭიროებს ცვლილებებს, კერძოდ მნიშვნელოვანია მათი მოდერნიზაცია, ახალი სასწავლო ლიტერატურისა და სასწავლო პროცესში ინგლისური ენის გამოყენება. დაწესებულების რექტორის განმარტებით, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით ყოველწლიურად მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების განახლება. რექტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცდა საზღვაო ნავიგაციის, საზღვაო ელექტროინჟინერიის და საზღვაო ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლები, საზღვაო აკადემიამ თავიანთი პროგრამები სრულ შესაბამისობაში მოიყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა სასწავლო პროცესში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საკითხით. ექსპერტთა განმარტებით, პრაქტიკული კომპონენტი უფრო კარგად იყო წარმოდგენილი რეგულირებად პროგრამებში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა თავისი ტრენინგ ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარითა და სიმულატორებით.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულების ძირითადი კვლევითი მიმართულებების საკითხით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში დაწესებულების პრიორიტეტს წარმოადგენდა სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება. ამჟამად მიმდინარეობდა მუშაობა კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით არაერთი გეგმა არ არსებობდა და დაწესებულების აზრით, 2019 წლიდან არაერთი კვლევით პროექტს განახორციელებდა დაწესებულება.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა ISO სერთიფიკატის საკითხით, რომელიც, მისი განმარტებით, რუსული ორგანოს მიერ იყო გაცემული. დაწესებულების რექტორის განმარტებით, სერტიფიკატი გაცემული იყო საერთაშორისო ორგანიზაცია IAF-ის რუსული რეგისტრის მიერ. ეს იყო საზღვაო საკლასიფიკაციო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებდა საგანმანათლებლო სფეროს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებასა და ISO სტანდარტით მის ზედამხედველობასა და მონიტორინგს.

საბჭოს წევრის, კონსტანტინე სირბილაძის განცხადებით საზღვაო ელექტროინჟინერია და საზღვაო ინჟინერია კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში გადატანილია ინჟინერიაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა, არის თუ არა კვალიფიკაციები შეცვლილი დაწესებულების პროგრამებში. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში განხორციელებული ყველა პროგრამა ხორციელდებოდა კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულება ასევე ექვემდებარებოდა კანონს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სადოქტორო პროგრამების განხორციელების გეგმით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაწესებულების პრიორიტეტს სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება წარმოადგენდა. ამჟამად კი, მიმდინარეობდა მუშაობა სადოქტორო პროგრამის შემუშავებაზე. ამასთან, განიხილება პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელების საკითხიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, განემარტათ შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, ხარისხის მართვის სისტემა უფრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს განათლებას და არა კვლევის შეფასებასა და განვითარებას. ექსპერტთა განმარტებით, კვლევითი კომპონენტი დაწესებულებაში მხოლოდ სამაგისტრო პროგრამებში ხორციელდებოდა. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კვლევით აქტივობას, მათი ჩართულობა ამ მიმართულებით იყო ძალიან მწირი. აკადემიაში ამ ეტაპზე ხორციელდებოდა მხოლოდ 2 კვლევითი პროექტი, რომელიც აღსანიშნავია, რომ იყო ინდივიდუალური.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კვლევის მიმართულების შიდა დაფინანსების საკითხით. ექსპერტთა განმარტებით, ამ ეტაპზე დაწესებულებაში არ იყო კვლევის მიმართულების შიდა დაფინანსება. დაწესებულების რექტორის განმარტებით, კვლევითი მიმართულებით აკადემიურ პერსონალს დაწესებულების მხრიდან სრული მხარდაჭერა ჰქონდა. მაგალითად, 2018 წლის განმავლობაში დაახლოებით 150 000-200 000 ლარი გამოიყო ამ მიმართულებით. დაწესებულება ადასტურებდა, რომ აკადემიაში ძალიან ცოტა კვლევითი აქტივობა ხორცილდებოდა, თუმცა, ამ ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით ძალიან ბევრი პროექტი იყო დაგეგმილი და დაწესებულება სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად.

აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, დაწესებულების რექტორის განმარტებით, სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია შესაბამისი აკადემიური პერსონალის მოძიება. ამჟამად ჩატარდა კონკურსი, რის შედეგადაც შეირჩა 20 ახალი აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების გეგმით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტიდან 23 კრედიტი ჰქონდა დათმობილი ინგლისური ენის სწავლებას. ამასთანავე, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ენების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს უფასოდ ინგლისური ენის დამატებით კურსებს. ასევე, ამ მიმართულებით დაწესებულება გეგმავდა მხოლოდ

იმ სტუდენტების მიღებას, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის კომპონენტში ინგლისური ენა ჰქონდათ ჩაბარებული.

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზის საკითხებს, დაწესებულება აქტიურად მუშაობდა პარტნიორ კომპანიებთან, რომელიც სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას დასაქმებული სტუდენტების შესახებ. ამასთან, ყველა სტუდენტს უფორმდებოდა ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, ისინი დაწესებულებას ყოველწლიურად აწვდიდნენ ინფორმაციას დასაქმების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო დაწესებულების აღჭურვის პროცესი. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა საუკეთესო აღჭურვილობა მთელ რეგიონში. წელს ამ მიმართულებით დაიხარჯა 1 300 000 ლარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულება აღჭურვილი იყო არა მხოლოდ საზღვაო, არამედ ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებით.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იყო თუ არა შშმ პირებისთვის. დაწესებულების რექტორის განმარტებით, წლის განმავლობაში დაწესებულების ორივე კორპუსში დამონტაჟდა ლიფტი. რექტორის განმარტებით, აღსანიშნავი იყო, რომ წელს ჩაირიცხა ერთი შშმ პირი, შესაბამისად, დაწესებულება სრულად ადაპტირებული იყო მისი განათლების უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ისე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს. საბჭომ იმსჯელა დაწესებულებაში განხორციელებული კვლევითი აქტივობების საკითხზე და მიიჩნია, რომ კვლევით კომპონენტში დაწესებულებას არაერთი მიმართულება ჰქონდა გასაუმჯობესებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის სტანდარტის 6.1. კომპონენტი, საბჭოს მოსაზრებით, უნდა შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, შეფასების სკალის მიხედვით, მე-6 სტანდარტი შეფასდებოდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 727-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 727-ით. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

ავტორიზაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 წლის ვადაში დაწესებულებაში განხორციელდეს მონიტორინგი, რა დროსაც გადამოწმებულ უნდა იქნეს დაწესებულების პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან მიმართებით.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფრიდონ გოგიაშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფრიდონ გოგიაშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა დასკვნა და ექსპერტთა მიერ შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:

- ადგილზე გარემოებების შესწავლის დროს დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტზე აღირიცხება სტუდენტთა დასწრება, მაგრამ არ ხდება პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა. იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს თავისი მიღწევების მონიტორინგი პრაქტიკის პერიოდში, პროფესიულ მასწავლებელს მიეცა რეკომენდაცია შეიქმნას სპეციალური ჟურნალი, სადაც მოხდება სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა და განმავითარებელი შეფასება;
- იმის გამო, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების განვითარებისათვის სასურველი იქნებოდა სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე ქვესტრატეგიის ჩამოყალიბება;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს ბიბლიოთეკიდან გატანილი საგანმანათლებლო რესურსის კონტროლის და უკან დაბრუნების ეფექტური მექანიზმები;
- ვინაიდან ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტებს წარუდგინეს ერთ-ერთი პროგრამის ძველი ვერსია, რომლის შესწავლაზეც მნიშვნელოვანი რესურსი დაიხარჯა, რეკომენდებულია დაწესებულებამ დახვეწოს დოკუმენტბრუნვის წესი და პრაქტიკა, რათა შეცდომით არ მოხდეს უკვე ძალადაკარგული დოკუმენტაციის გამოყენება ავტორიზაციის, მითუმეტეს კი სასწავლო პროცესში;
- რეკომენდებულია შემუშავდეს და დამტკიცდეს სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ უზრუნველყოფას, გაუმჯობესებს აღრიცხვიანობას და შესაძლებელს გახდის ეფექტიანობის ანალიზს ამ კუთხით;
- სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში საზღვაო სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაიწეროს სწავლების შესაბამისი მეთოდები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოდულის განხორციელებისას და

შეფასებისას. დაწესებულებამ ბოლომდე მიიყვანოს პროგრამის და მოდულების ადაპტირების პროცესი და შექმნას ეფექტური მექანიზმები მათში შესაძლო ტექნიკური და სხვა ტიპის ხარვეზების არსებობის პრევენციის მიზნით;

- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი -ბათუმის საზღვაო აკადემიას მიეცა რეკომენდაცია, რომ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის და უსაფრთხოების კონტროლის სამსახურის თანამდებობებზე პირების დანიშვნის კრიტერიუმები გაიწეროს უფრო მკაფიოდ და კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სასურველია პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღინიშნოს თუ რომელი პროგრამის რა კომპონენტი უნდა განახორციელოს პროფესიულმა მასწავლებელმა;
- დაწესებულებამ საქმისწარმოების ერთიანი წესების დაცვით უზრუნველყოს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაცია;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შედგენილი პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებლების და დამსაქმებელთა გამოკითხვისათვის გამოყენებული კითხვარები დაიხვეწოს შინაარსობრივად, რათა შინაარსი შეესაბამებოდეს კვლევის მიზანს. გაიწეროს შესაბამისი პროცედურა და კვლევის მეთოდოლოგია სოციოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ ბოლომდე გამიჯნოს პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები;
- პროფესიულ განათლებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ გადახედოს პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების გართულებულ პროცედურებს, გახადოს უფრო მოქნილი და ოპერატიული. განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს სენატის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ნაწილში;
- დაწესებულებამ პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, დადგენილი წესით გამოსცეს აქტი პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში და არ დაამტკიცოს ის ახალი პროგრამების სახით;
- არსებული პროგრამების გაუქმებისა და ახალი პროგრამების დამტკიცების შემთხვევაში განახორციელოს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და ავტომატურ რეჟიმში არ გააგრძელებინოს მათ სწავლა ახალ პროგრამაზე;
- სტუდენტებისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს სენატი, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით სენატს ასეთი მანდატი არ გააჩნია. დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო ან ინიციატივით მიმართოს ეკონომიკის სამინისტროს წესდებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესახებ, რაც სენატს მისცემს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების უფლებამოსილებას;
- დაწესებულებამ შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ სიმულატორებში ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც მიახლოებული იქნება რეალურად დასაქმების ადგილებში გამოყენებულ ტექნიკასთან, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში გაზარდოს პრაქტიკის ობიექტებზე რეალურად არსებული ტექნიკის ოპერირების კომპონენტი;

- დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების პროცესში მისდევს არსებულ პრაქტიკას. რეკომენდებულია ამ მიზნით გაიწეროს ფორმალური პროცედურა;
- კატალოგი ფორმალურად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ის არ აღიქმება როგორც ერთიანი დოკუმენტი. ის დაფრაგმენტებულია პროგრამების მიხედვით, ელექტრონული ფაილების სახით. სასურველია დაწესებულებამ გაიზიაროს საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გამოცდილება კატალოგის ფორმატთან დაკავშირებით.

დაწესებულებისთვის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლების მინიჭებამდე, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცენტრის მიერ საბჭოსთვის გაგზავნილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის მიერ მომზადებული დასკვნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ. საბჭოს წევრები გაეცნენ აღნიშნულ დოკუმენტს და შეთანხმდნენ, რომ საბჭოს გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილი იქნებოდა ყველა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებამოსილებას მიენიჭებოდა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ იყო ზოგიერთ პროფესიულ პროგრამაზე დაბალი მოთხოვნა. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დიდი დაინტერესება იყო გემბანის რიგითი მეზღვაურის და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის სასწავლო პროგრამებზე. სხვა პროგრამები შეიქმნა „ათასწლეულის გამოწვევების ფონდის" მხარდაჭერით და დაწესებულება ფიქრობდა, რომ ამ მიმართულებით დაინტერესება მომავალში გაიზრდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამები - ამწის ოპერირება და შედუღება, იყო ზოგადი შინაარსის, თუ კონკრეტულად საზღვაო მიმართულების შინაარსის მატარებელი. დაწესებულების რექტორის განმარტებით, აღნიშნული პროგრამები შემუშავებული იყო ზოგადი მიმართულებით.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა სიმულაციურ და რეალურ სივრცეში პრაქტიკული მუშაობის თანაფარდობით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაახლოებითი შეფარდება იყო 60/40. საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, ასევე დაინტერესდა სახარჯი მასალის შეძენის მექანიზმით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, სახარჯი მასალის შეძენა ხორციელდებოდა ტენდერის მეშვეობით, ისევე როგორც ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირში.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა განსხვავებული კრედიტების საკითხით ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტების მიმართებით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, არაქართულენოვან სტუდენტებს დამატებით უწევდათ ქართული ენის საგნის სწავლა, რომელიც საფეხურების მიხედვით 15 ან 30 კრედიტს მოიცავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა მხოლოდ ერთი სტანდარტის ერთ კონკრეტულ კომპონენტს და მათ არ ჰქონდათ სისტემური ხასიათი. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, მათ აღნიშნული რეკომენდაციები უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია,

რომ მას უნდა მიეცა დაწესებულებისთვის შესაძლებლობა განეხორციელებინა და განევითარებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 227-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 4[1] და მე-5 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 227-ით.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 14:20 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 14:45 საათზე.

3. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წინაშე წარადგინა დასკვნა და ექსპერტთა მიერ შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ, საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებების მკაფიოდ გამიჯვნა, პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტაციის პაკეტის შემუშავება, რომელშიც მოდულური პროგრამების სპეციფიკა შესაბამისად იქნება ასახული.
- რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს პროფესიული პროგრამის დასახელება, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც ერთდროულად მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;
- რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა, შემუშავებულ იქნეს პრაქტიკის დღიურის ფორმა, სადაც პროფესიული სტუდენტები აღწერენ ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს შინაარსს, ხოლო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორი დაადასტურებს ჩანაწერების ნამდვილობას და შეაფასებს პროფესიული სტუდენტების მიერ ჩატარებულ სამუშაოს, განმავთარებელი შეფასების პრინციპებიდან გამომდინარე;
- რეკომენდებულია, მეტი ინფორმირებულობის მიზნით, პროგრამებში დაფიქსირდეს პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა (სასწავლო თვეები) ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის; პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი; პროგრამების შემუშავების სამართლებრივი საფუძველი; ასევე მოდულების „დამხმარე ჩანაწერების" ნაწილში დაკონკრეტდეს მოდულის/სწავლის შედეგის განხორციელების ადგილი;
- რეკომენდებულია შემუშავდეს და დამტკიცდეს სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ უზრუნველყოფას, გააუმჯობესებს აღრიცხვიანობას და შესაძლებელს გახდის ეფექტიანობის ანალიზს ამ კუთხით;

- რეკომენდებულია გასწორდეს მოდულებში დაფიქსირებული ტექნიკური შეცდომები და უზუსტორები, კერძოდ: „გაცნობითი პრაქტიკის“ და უცხოური (რუსული) ენის მოდულებში ექსპერტთა დასკვნის შესაბამის ნაწილში (პუნქტი 1.1) წარმოდგენილი შენიშვნების მიხედვით;
- რეკომენდებულია შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და დასაბუთების მეთოდოლოგია, რათა ახალი პროგრამების შერჩევა იყოს არგუმენტებითა და მტკიცებულებებით გამყარებული;
- რეკომენდებულია შემუშავდეს არჩევითი მოდულების დასაბუთების მეთოდოლოგია, რათა არჩევითი მოდულების პროგრამებში შეტანა იყოს დასაბუთებული და მტკიცებულებებით გამყარებული.
- რეკომენდებულია დაიხვეწოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, გათვალისწინებული იყოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და ფაქტორი, რათა მიღებული შედეგი იყოს სანდო და დამაჯერებელი;
- რეკომენდებულია, დაწესებულებას ჰქონდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი/რეგულაცია სსსმ პირებისათვის, მობილობისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევისთვის;
- რეკომენდებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა სამართლებრივ აქტებში, პროფესიული სწავლების საკითხების ასახვისას გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში იყოს „პროფესიული განათლების შესახებ კანონით“ დადგენილ და პროფესიული განათლების სფეროში დამკვიდრებულ ტერმინებთან, ასე მაგალითად პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული სტუდენტი და სხვა;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული კითხვარების გადახედვას, რათა მათში ასახული იყოს მოდულური სწავლების სპეციფიკა;
- რეკომენდებულია, დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე ქვესტრატეგიის ჩამოყალიბება, ხოლო სამოქმედო გეგმაში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების, მათ შესარულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები და ა.შ.
- სასურველია, მომავალში პროფესიული განათლების სწავლებისთვის ცალკე სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება;
- რეკომენდებულია, დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული იურიდიული დოკუმენტაციის (კოდექსები, კანონქვემდებარე აქტები და ა.შ.) განახლების მექანიზმების დანერგვა;
- რეკომენდებულია, მოდულური სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით დაწესებულების ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ასევე პროფესიული მასწავლებლების, ინსტრუქტორების პროფესიულ განვითარების გაძლიერება;
- რეკომენდებულია, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულებაში, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროფესიული პროგრამები, უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად აისახოს პროფესიულ სწავლებასთან დაკაშირებული უფლებამოვალეობები და მუშაობის წესები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების შესაძლო რაოდენობით. ექსპერტთა განმარტებით, თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების შესაძლო რაოდენობა იყო 200. თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა კი შეადგენდა დაახლოებით 16 თვეს. შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებას შეეძლო 2-ჯერ გამოეცხადებინა მიღება.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში იყო შესაძლებლობა, რომ თითოეულ პროგრამაზე ერთდროულად 100 სტუდენტს ესწავლა, ხოლო მეორე ნაწილი - 100 სტუდენტი ამ პერიოდში პრაქტიკის ობიექტებზე გაივლიდა პრაქტიკას. ამასთან, დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ყველა ის რეკომენდაცია, რაც ჰქონდათ ექსპერტებს, იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სწავლის მსურველთა მოთხოვნის საკითხით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულების მიერ განხორციელებულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა იყო მზარდი, ამჟამად აქტიური სტუდენტის რაოდენობა პროფესიულ პროგრამებზე შეადგენდა 267-ს. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებას ჰყავდა საკუთარი გემი, რაც სტუდენტებს აძლევდა ძალიან კარგი პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას. ექსპერტთა განმარტებით მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ აღნიშნული დაწესებულების კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საკითხი ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, და დაფიქსირებულ შენიშვნებს არ ჰქონდათ სისტემური ხასიათი, საბჭო მიიჩნევდა, რომ დაწესებულებას უნდა მისცემოდა საშუალება განეხორციელებინა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ ახალი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო

საინჟინრო სასწავლებელ ანრის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია *(1)*	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში 111054	95	110	ქართული	200	ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება შ. ხიმშიაშვი ლის ქ. №47-ის მიმდებარე ტერიტორ ია.
2	გემის სამანქანე განყოფილ ების ექსპლუატაცია *(1)*	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში 111055	91	106	ქართული	200	ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება შ. ხიმშიაშვი ლის ქ. №47-ის მიმდებარე ტერიტორ ია.

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 15:30 საათზე.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი